საჯარო სამსახურის მედეგობის გაძლიერება დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ

საბოლოო ანგარიში

2023

კვლევის ავტორები:

ნინო გოგუაძე

ირინე ფრუიძე

მარიამ ტლაშაძე

ცვატა ბერძენიშვილი

კვლევა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

სარჩევი

1. შესავალი 3
2. ძირითადი მიგნებები 6
3. სახელმწიფო პოლიტიკა დეზინფორმაციის წინააღმდეგ 7
4. საჯარო მოხელეების ინფორმირებულობა 12
5. რეკომენდაციები 25
დანართები 27

1. შესავალი

დეზინფორმაციის და პროპაგანდის საფრთხეებთან გამკლავება 2016 წლიდან დადგა სახელმწიფო უწყებების დღის წესრიგში. მას შემდეგ, აღმასრულებელი უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები მუდმივად უთითებენ დეზინფორმაციის კამპანიებზე რეაგირებისთვის თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობაზე.

სახელმწიფო უწყებები, დეზინფორმაციის საფრთხეებთან გამკლავების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად სტრატეგიულად დაგეგმილ საინფორმაციო კამპანიას მიიჩნევენ, რომელიც უწყებებს შორის ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიური სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბებით უნდა განხორციელდეს.[1]

ამ პროცესის წარმართვა, პირველ რიგში, საკითხზე კარგად ინფორმირებული, შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე საჯარო მოხელეების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. მეორე საკითხია, რამდენად არის მზად სახელმწიფოს ეს ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი, ჩაერთოს დეზინფორმაციასთან რეაგირების რთულ და კომპლექსურ პროცესში და საფრთხეებზე ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს. დეზინფორმაციის საფრთხეებთან გამკლავება, თავისთავად, სიახლეა საჯარო სექტორისთვის და მასზე სრულფასოვანი რეაგირება საჯარო მოსამსახურეების გადამზადებას, და მათი სპეციალური ცოდნით და უნარებით აღჭურვას საჭიროებს.

სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტები (ანგარიშები, ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული საინფორმაციო მასალა) ნაკლებად იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების უწყებები საკითხზე სამუშაოდ საჯარო მოსამსახურეების მოსამზადებლად. ასევე, არ ქვეყნდება ინფორმაცია გამოიკვლიეს თუ არა საჯარო უწყებებმა საჯარო მოსამსახურეების ინფორმირებულობის დონე დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე, შეაფასეს თუ არა მათი ცოდნა და გამოცდილება ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების და დროულად და ეფექტიანად რეაგირების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში). ასევე, ნაკლებად ქვეყნდება ინფორმაცია საჯარო მოსამსახურეებისთვის შეთავაზებული, საჭიროებებზე დაფუძნებული და

[1] საქართველოს მთავრობის განცხადება, 2018

სისტემატიურად მიწოდებული სასწავლო პროგრამების შესახებ. ხელმისაწვდომი ინფორმაციით, ასეთი პროგრამების შეთავაზება ფრაგმენტულად, ცალკეული უწყებების მიერ ხორციელდება.

საჯარო სამსახურის ბიურომ დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე მუშაობა 2023 წელს, გაეროს განვითარების პროგრამისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის - „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საჯარო სამსახურის მედეგობის გაძლიერება" - ფარგლებში დაიწყო. პროექტის მიზანია დეზინფორმაციის გამოწვევებზე საჯარო მოსამსახურეების მედეგობის გაზრდა და საფრთხეებზე რეაგირებისთვის მათი შესაძლებლობების გაძლიერება. პროექტი საჯარო სამსახურში არსებული მდგომარეობის შესწავლით დაიწყო. კვლევების საფუძველზე მიღებული და გაანალიზებული ინფორმაცია საჯარო სამსახურის ბიუროს შესაბამისი სასწავლო პროგრამების (ტრენინგები, ვორქშოპები) მომზადებასა და განხორციელებაში დაეხმარება.

პროექტმა საკითხის კვლევა სამ ეტაპად განახორციელა და მოიცვა სამაგიდო, თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის ეტაპები.

სამაგიდო კვლევის ეტაპზე, პროექტმა შეისწავლა დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე სახელმწიფო უწყებების პოლიტიკის და საქმიანობის დოკუმენტები (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, ანგარიშები) და მიმოიხილა ამ მიმართულებით საკანონმდებლო და აღმასრულებელი უწყებების საქმიანობა. ასევე, გამოიკვლია ცენტრალური აღმასრულებელი უწყებების მიერ დეზინფორმაციის საკითხებზე საჯარო მომსამსახურეებისთვის მომზადებული და შეთავაზებული პროგრამები.

კვლევის საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მომზადდა რეკომენდაციები შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად. ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა ბიუროს მიერ დეზინფორმაციის და პროპაგანდის შესახებ საჯარო მოხელეების ინფორმირებულობის საკითხის შესწავლას, რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების გამოყენებით. რეკომენდაცია საფუძვლად დაედო მეორე და მესამე ეტაპზებზე შესაბამისი კვლევების დაგეგმვას და განხორციელებას.

თვისობრივი კვლევის ეტაპზე ჩატარდა 26 სიღრმისეული ინტერვიუ ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის რვა უწყებაში: *საგარეო საქმეთა სამინისტრო* (4

ინტერვიუ), *ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (4), შინაგან საქმეთა სამინისტრო* (1 ინტერვიუ), თავდაცვის სამინისტრო (5 ინტერვიუ), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2 ინტერვიუ), ზუგდიდის (3 ინტერვიუ), გარდაბნის (4 ინტერვიუ) და მარნეულის (3 ინტერვიუ) მუნიციპალიტეტები.

ჩატარებული ინტერვიუების მიზანი იყო გამოეკვლია საჯარო უწყებების თანამშრომელთა ინფორმირებულობა დეზინფორმაციის საფრთხეების შესახებ, მათ შორის, შეესწავლა რამდენად აღიქმება დეზინფრმაცია საფრთხედ, როგორ იღებენ და ამოწმებენ ინფორმაციას მოხელეები, რას ემყარება მათი ცოდნა ინფორმაციის გადამოწმების შესახებ და როგორია საჯარო მოხელეების რეაგირება მათი უწყებების მიმართ გარცელებული დეზინფორმაციის შემთხვევებზე. ასევე, რა სწავლება (ტრენინგი, ვორქშოპი) გაუვლიათ დეზინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებით, და ხედავენ თუ არა ასეთი პროგრამების საჭიროებას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, განხორციელდა ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებების (მათ შორის, სამინისტორები, სსიპ, საქვეუწყებო დაწესებულება, მერია, საკრებულო, გუბერნატორის ადმინისტრაცია, ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულება) საჯარო მოსამსახურეების ონლაინ გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კითხვარი მოიცავდა იგივე შეკითხვებს, რაც თვისობრივი კვლევის ეტაპზე იქნა გამოყენებული. გამოკითხვაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მონაწილეობა მიიღო 1339 საჯარო მოხელემ.

კვლევის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნა თავმოყრილი დეზინფორმაციის ამოცნობის, ინფორმაციის კრიტიკულად გადამოწმების და დეზინფორმაციაზე რეაგირების საკითხებზე საჯარო მოხელეების ინფორმირებულობის, მათი დამოკიდებულებების, ცოდნის და გამოცდილების შესახებ. კვლევის სამივე ეტაპზე მიღებული ინფორმაცია აზუსტებს და ავსებს ერთმანეთს და ღირებულ ინფორმაციას იძლევა საკითხის გასაანალიზებლად. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის დასკვნით, შემაჯამებელ დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს და აჯამებს კვლევის ამ სამივე ეტაპის შედეგებს.

2. ძირითადი მიგნებები

- სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები დეზინფორმაციას და პროპაგანდას ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ ასახელებენ. თუმცა სტრატეგიული დოკუმენტების საფუძველზე გამონაკლის შემთხვევაში იქმნება საფრთხესთან გასამკლავებლად კონკრეტული სამოქმედო გეგმები.
- სახელმწიფო უწყებები, დეზინფორმაციასა და პროპაგანდაზე რეაგირების პროცესში, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შიდა უწყებრივი შესაძლებლობის გაძლიერების საკითხებს. სამინისტროების ოფიციალური დოკუმენტები და გამოქვეყნებული მასალა არ გვაძლევს ინფორმაციას, შეაფასა თუ არა უწყებამ საჯარო მოხელეების ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ დეზინფორმაციის და პროპაგანდის შემთხვევებზე.
- სამინისტროების სამოქმედო გეგმები და სხვა უწყებრივი დოკუმენტები არ ითვალისწინებს საჯარო მოხელეებისთვის რეგულარული სასწავლო პროგრამების (ტრენინგი, ვორქშოპი) შეთავაზებას დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე. პრაქტიკაში, ცალკეული უწყებების მიერ თანამშრომლებისთვის შეთავაზებული გადამზადების პროგრამები მწირი და ფრაგმენტულია.
- სახელმწიფო უწყებებს შორის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით ცოდნა და გამოცდილება განსხვავებულია. ზოგიერთ უწყებაში მომუშავე საჯარო მოხელეებს საკითხზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ, ზოგს არა. უწყებებს შორის რეგულარული კოორდინაცია ამ ცოდნის და ინფორმაციის გაცვლის და გაზიარების თვალსაზრისით, არ ხორციელდება. სხვადასხვა უწყებებში მომუშავე საჯარო მოხელეები ნაკლებად იღებენ ინფორმაციას დეზინფორმაციის შესახებ სხვა უწყებების თანამშრომელთა საქმიანობაზე, ასევე მათი ცოდნის და გამოცდილების შესახებ.
- საჯარო მოხელეების უმრავლესობა ინფორმირებულია დეზინფორმაციის საფრთხის შესახებ და მას ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევს.

- საჯარო მოხელეების აზრი დეზინფორმაციიის საფრთხედ აღქმაში, ძირითადად, ტელევიზიის, ინტერნეტის და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა. საჯარო დაწესებულებები ნაკლებად არიან მოხელეებისთვის საკითხზე ინფორმაციის მიწოდების წყარო.
- საჯარო მოხელეებისთვის ინფორმაციის კრიტიკული მოხმარება სირთულეს წარმოადგენს რადგან ამის სპეციალური ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ. ინფორმაციის გადამოწმებას საკუთარი ინდივიდუალური მეთოდებით აკეთებენ, რომელიც პროფესიულ და პრაქტიკაში მიღებულ გამოცდილებას უკავშირდება. მათივე შეფასებით, ეს მექანიზმები არ არის ზუსტი და სანდო.
- დეზინფორმაციის საკითხებზე ინფორმირებულობის ხარისხი, ასევე, ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების გამოცდილება, მოხელეების პოზიციის და რანგის გათვალისწინებით, სხვადასხვაგვარია. ის მოხელეები, რომლებსაც ხშირად უწევს გარე ინფორმაციის მოხმარება, მედიასთან კომუნიკაცია, მეტად არიან ინფორმირებულები, როგორც დეზინფორმაციის ფაქტების, ასევე ინფორმაციის გადამოწმების მეთოდების შესახებ.
- საჯარო მოსამსახურეები ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარებისთვის მეტ ცოდნას და გამოცდილებას საჭიროებენ. ცოდნის მიღების საუკეთესო საშუალებად ტრენინგებს და ვოქშოფებს ასახელებენ.
- ცენტრალურ უწყებებში მომუშავე საჯარო მოხელეებში, დეზინფორმაციის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხი, ასევე, ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების გამოცდილება, მეტია, ვიდრე მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოხელეებში.

3. სახელმწიფო პოლიტიკა დეზინფორმაციის წინააღმდეგ

სახელმწიფო უწყებებმა დეზინფორმაციის და პროპაგანდის კამპანიის საფრთხედ მიჩნევა 2016 წლიდან დაიწყეს, როდესაც ჩანაწერი პირველად გაჩნდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ანგარიშში. მას შემდეგ, სახელმწიფო აღმასრულებელი

უწყებები მუდმივად უთითებენ საკითხის შესახებ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელიც დეზინფორმაციის საფრთხეებს შეეხო, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017- 2020 სტრატეგიაა. დოკუმენტის მიხედვით, საფრთხედ არის შეფასებული რუსული დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას და ევროკავშირისა და ნატოსადმი მხარდაჭერის შემცირებას. ***პოლიტიკის ამ დოკუმენტს საფუძველი უნდა შეექმნა აღმასრულებელი უწყებების რეაგირების პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისთვის.*** თუმცა, ამ მიმართულებით განხორციელებული კოორდინირებული მუშაობის შესახებ ანგარიშები, ან რაიმე ინფორმაცია, საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე არ მოიპოვება.

მეორე მნიშვნელოვანი და საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც დეზინფორმაციის საკითხებს შეეხო (სხვა საკითხებთან ერთად) [2] საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიაა.

სტრატეგია ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელიც აღნიშნავს, რომ დეზინფორმაციის საფრთხეების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე საჯარო მოხელეებია, რომელთა გადამზადება და საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სტრატეგიას თან ერთვის სამოქმედო გეგმა, რომელიც კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე საჯარო მოხელეების/ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული პირების სავალდებულო გადამზადებას ითვალისწინებს. სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2024 წლისთვის სულ მცირე, 500 საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს სავალდებულო სწავლება გავლილი. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამ აქტივობის შესრულების შესახებ ინფორმაცია საჯარო წყაროებით არ იძებნება.

საგარეო საქმეთა სამინისტრო - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო წამყვანი უწყებაა დეზინფორმაციის საფრთხეებზე რეაგირების და საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით. უწყებამ თავის ინსტიტუციურ როლად განსაზღვრა დააკვირდეს და

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=0

გააანალიზოს საინფორმაციო სივრცე, გამოავლინოს დეზინფორმაციის შემთხვევები და დაგეგმოს და განახორციელოს საპასუხო მოქმედებები. ამ ამოცანის შესრულებას სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, სათანადო ცოდნით აღჭურვილი და მომზადებული საჯარო მოხელეების მეშვეობით ახორციელებს. [3] დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია სამინისტროს ვებგვერდზე არ არის განთავსებული. შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას შევაფასოთ როგორ ხორციელდება დეპარატამენტის საქმიანობა, ხდება თუ არა ცოდნის, გამოცდილების და საქმიანობის შედეგად მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის გაზიარება უწყების სხვა თანამშორმლებისთვის და ასევე, სხვა საჯარო უწყებებში მომუშავე მოხელეებისთვის.

სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, [4] უწყების მეორე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე რეაგირების საკითხებში. ცენტრის მიზნებს შორისაა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საზოგადოების დროული, ზუსტი და სრულყოფილი ინფორმირების გზით, შეამციროს ქვეყნის საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებული დეზინფორმაციული კამპანიის გავლენები. ცენტრმა, საკითხზე მრავალწლიანი მუშაობით, მნიშვნელოვანი პროფესიული რესურსი შექმნა დეზინფორმაციის საკითხებზე რეაგირებისთვის. ცენტრის თანამშრომლებს სხვა უწყებების საჯარო მოხელეებისთვის საკითხზე ღირებული ინფორმაციის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება შეუძლიათ. თუმცა, ოფიციალურად გამოქვეყნებული დოკუმენტები არ უთითებს, რამდენად კოორდინირებულად მუშაობს ცენტრი სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ცოდნის და ინფორმაციის გაზიარების საკითხებზე.

[3] [საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი, მიზნები და ამოცანები]

[4] საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ 2005 წელს დაარსდა. ცენტრი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ერთ-ერთი პირველი უწყებაა, რომელმაც დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიის საფრთხეები სტრატეგიული დოკუმენტებით აღიარა და საკითხებზე მუშაობა დაიწყო.[5]

სტრატეგიების მიხედვით, სამინისტრო საფრთხეებზე რეაგირების უმთავრეს მექანიზმად უწყების საქმიანობის შესახებ საზოგადოების დროულ და სრულყოფილ ინფორმირებას მიიჩნევს. ამ მიზნით, 2016 წელს, სამინისტრომ სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი შექმნა. სამინისტრო მიერ გამოქვეყნებული მწირი ინფორმაცია, არ გვაძლევს შესაძლებლობას შევაფასოთ რა ადმინისტრაციული რესურსი გააჩნია სამინისტროს ამ ფუნქციის შესასრულებლად, ან რა რესურსებით ახორციელებს საფრთხეების შესახებ დაგეგმილი კომუნიკაციის და ცნობიერების ამაღლების პროგრამებს.

სამინისტროს შიდა უწყებრივი დოკუმენტები დეზინფორმაციის საფრთხეებზე მოხელეების გადამზადების შესახებ არაფერს ამბობს. თუმცა, უწყება აქვეყნებს ინფორმაციას ცალკეული სასწავლო პროგრამების განხორციელების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მათ შორის დეზინფორმაციის საფრთხეებზე უწყებების კოორდინაციის გაძლიერებას.[6] ასეთი სასწავლო პროგრამები ფრაგმენტული იყო და საჯარო მოხელეების მხოლოდ მცირე ნაწილს მიეცა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე, იმ უწყებებს შორისაა, რომელსაც დეზინფორმაციის საფრთხეები უწყების პოლიტიკის დოკუმენტებით აქვს აღიარებული.[7] სამინისტროს საჯარო დოკუმენტებით ქვეყნდება ინფორმაცია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე სამინისტროს სტრატეგიული დეპარტამენტის ან რომელიმე სხვა

---

[5] საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020 და თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025, რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საფრთხეზე მიუთითებს და აცხადებს, რომ რუსეთის მიერ, „რბილი ძალის'' მეშვეობით განხორციელებული ქმედებები მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ინსტიტუტების დასუსტებას, ქვეყნის ევრო-ატლანტიკური კურსის დისკრედიტაციას და პრორუსული და ანტიდასავლური ძალების გაძლიერებას.

[6] ასეთ პროგრამებს შორისაა: პროგრამა "დიდგორი 2021", რომელიც მიზნად ისახავდა სამთავრობო უწყებებს შორის კომუნიკაციის და ცნობიერების ამაღლების საკითხებზე სწავლებას, კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებასა და ურთიერთქმედების დახვეწას, ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებთან და დეზინფორმაციასთან გამკლავებას.

[7] შინაგან საქმეთა სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2019-2021

სტრუქტურული ერთეულის მიერ უწყების თანამშრომლებისთვის დაგეგმილი და სისტემატიურად მიწოდებული პროგრამების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, სამინისტროს ცალკეულ თანამშრომლებს, მონაწილეობა მიუღიათ დეზინფორმაციის საკითხებზე სამინისტროს მიერ განხორციელებულ რამდენიმე პროგრამაში.[8]

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საზოგადოებისთვის ყველაზე მსხვილი სერვისების მიმწოდებელი სახელმწიფო უწყებაა. ბოლო წლების მანძილზე, სამინისტრო საქმიანობა არაერთხელ დადგა საფრთხის ქვეშ უწყების მიმართ გავრცელებული დეზინფორმაციის გამო. დეზინფორმაციული კამპანია საზოგადოებაში უწყების საქმიანობის დისკრედიტაციისკენ, ასევე, თავად სამინისტროს მიმართ საკუთარ თანამშრომლების ნდობის შემცირებისკენ იყო მიმართული (ვაქცინაციის წინააღმდეგ კამპანია).

ლოგიკურია, რომ სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიით (2022-2030) [9] საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე დეზინფორმაციის გავრცელება განსაკუთრებულ საფრთხედ აღიარა. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, სტრატეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების კომუნიკაციას, რაც სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანაა.

თუმცა სამინისტრო არ აქვეყნებს ინფორმაციას კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის, ან სტრატეგიულ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი შიდა უწყების შესახებ (მაგალითად, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი). ასევე, არ მოიპოვება ინფორმაცია რა რესურსებით და შესაძლებლობებით უნდა განახორციელოს სამინისტრომ ჯანმრთელობის რისკების კომუნიკაცია და გეგმავს თუ არა ამ მიმართულებით უწყების ადმინისტრაციული რესურსების, მათ შორის ადამიანური რესურსების გადამზადებას.

---

[8] ასეთ ღონისძიებებს შორისაა 1) „დიდგორი 2021" - 2021 წელს, შსს-ს 200-მდე წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი 2021"-ში, რომელიც ჰიბრიდულ გამოწვევებთან, მოწინააღმდეგის საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებსა და დეზინფორმაციასთან გამკლავებას შეეხებოდა.
2) „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია" - 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრებისთვის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში გაიმართა ტრენინგი თემაზე - „საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია". სწავლებაში 35 მართლწესრიგის ოფიცერი მონაწილეობდა.
[9] ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030

დეზინფორმაციასთან და პორპაგანდასთან გასამკლავებლად ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, შეიძლება ითქვას, რომ სიახლეა სახელმწიფო უწყებებისთვის. ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს საკითხზე მუშაობის ცოდნა და გამოცდილება ნაკლებად გააჩნიათ (სპეციფიკური შემთხვევების გარდა, რომელზეც მომდევნო თავებში ვისაუბრებთ). საჯარო უწყებები ვერ სთავაზობენ თანამშრომლებს შესაბამის სასწავლო პროგრამებს, რომელიც მოხელეებს საკითხის შედარებით პროფესიონალურ დონეზე გააზრებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს საფრთხის მიმართ მათი მედეგობის გაზრდას. შედეგად, საჯარო მოსამსახურეების ცოდნა ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების და გადამოწმების, ასევე, დეზინფორმაციაზე რეაგირების თვალსაზრისით, განსხვავებულია და, მეტწილად, მათ პირად გამოცდილებას უკავშირდება. პირადი გამოცდილება კი, განსხვავებულია ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებში მომუშავე მოხელეებს შორის - თუკი თბილისში, მოხელეები მეტად ინფორმირებულები არიან საკითხის შესახებ, მუნიციპალიტეტებში, ცოდნის და ინფორმაციის ნაკლებობას ვხედავთ.

მომდევნო თავები დეტალურად მიმოიხილავს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილ ტენდენციებს, რომელიც კარგ წარმოდგენას გვიქმნის, კვლევის საკითხთან დაკავშირებით, საჯარო მოსამსახურეების წინაშე მდგარი საჭიროებების შესახებ.

4. საჯარო მოხელეების ინფორმირებულობა

საჯარო მოხელეების აბსოლუტურ უმრავლესობას (96%) სმენია დეზინფორმაცის შესახებ და ასევე, იციან, რომ დეზინფორმაცია ქვეყნისთვის გამოწვევა და საფრთხეა.

დეზინფორმაციის ფენომენის ცნობადობა საჯარო მოხელეებში



დეზინფორმაციის საფრთხედ აღქმის მაჩვენებელი, თითქმის ერთგვაროვანია ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებში მომუშავე საჯარო მოხელეებში. თუმცა, თავად დეზინფორმაციის შემთხვევებზე საუბრისას, მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ხელისუფლების უწყებების თანამშრომლებს სხვადასხვა საკითხები ახსენდებათ.

ცენტრალურ დონეზე, სამინისტროებში მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის, დეზინფორმაციის აღქმა, პირველ რიგში, ეროვნული მნიშვნელობის საკითხებს უკავშირდება.[10] ასეთებს შორის ასახელებენ, ანტი-დასავლურ კამპანიებს, ბიზნესის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებს, საგარო კურსის საკითხებთან დაკავშირებულ დეზინფორმაციულ გზავნილებს. იმავდროულად, სამინისტროს თანამშრომლები, მათი უწყების წინააღმდეგ განხორციელებულ კამპანიებზე საუბრობენ:

- ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ვაქცინაციის საკითხებთან დაკავშირებულ კამპანიას ასახელებს, რამაც არამხოლოდ ფართო

[10] შენიშვნა: სამინისტროებში გამოკითული რესპოდენტები, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოადგენენ სტრატეგიული კომუნიკაციების ან საზოგადოებასთან ერთიერთობების დეპარტამენტების თანამშრომლებს. მათ პროფესიულლად, ყოველდღიურად უწევთ მუშაობა დეზინფორმაციის და პორპაგანდის საკითხებზე. შესაბამისად, მათი ინფორმირებულობის ხარისხი დეზინფორმაციის საკითხებზე, ასევე ცოდნა, გამოცდილება და უნარები მაღალია სხვა თანამშრომლებთან შედარებით.

საზოგადოებაზე, არამედ თავად სამინისტროს თანამშრომლებზეც მოახდინა გავლენა.

- საგარეო საქმეთა სამინისტრო უწყების მიერ მოქალაქისთვის გაწეული მომსახურების შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებაზე საუბრობს, რისი მიზანიც უწყების რეპუტაციის დაზიანება იყო.
- განათლების სამინისტრო, ფართო მანდატის გათვალისწინებით, განსაკუთრებულად მოწყვლადია დეზინფორმაციის მიმართ. უწყებას ხშირად უწევს რეაგირება გავრცელებული დეზინფორმაციის ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა სკოლის ინფრასტრუქტურის, სკოლაში მომხდარი ინციდენტების, თუ ფინანსური სახის საკითხები.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპატრულო პოლიციის მიმართ, ასევე, საზღვრის კონტროლთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაციის ფაქტებზე საუბრობს.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ცნობილია, რომ დეზინფორმაცია "გლობალური და ეროვნული მნიშვნელობის" პრობლემაა, რომელიც ეკონომიკის, ჯანდაცვის და ზოგადად პოლიტიკის საკითხებს უკავშირდება. თუმცა, მათი ინფორმირებულობა ადგილობრივ დონეზე არსებული დეზინფორმაციის შემთხვევებზე უფრო მაღალია და ფაქტებზე საუბრისას, პირველ რიგში, მათი უწყების ირგვლივ გავრცელებულ დეზინფორმაციაზე საუბრობენ. დეზინფორმაციის ასეთ შემთხვევებთან გამკლავება მათი ყოველდღიური სამუშაო რუტინის ნაწილია. რეაგირების მოხდენა უწევთ დეზინფორმაციის შემთხვევებზე, რომელიც ადგილობრივ ინფრასტრუქტურულ პროგრამებს, მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებულ სოციალურ სერვისებს [11] და მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაჭრას უკავშირდება.[12]

საჯარო მოხელეების პასუხები გვიჩვენებს, რომ მოხელეებს სრულიად მკაფიო წარმოდგენა აქვთ დეზინფორმაციის საკითხებზე. მათ მიერ მოყვანილი მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ დეზინფორმაციის საკითხი მათი უწყებებისთვის აქტუალური

[11] ზუდგიგის მუნიციპალიტეტი.
[12] გარდაბნის მუნიციპალიტეტი.

და პრობლემურია და მოხელეებს, როგორც ადგილობრივ, ასევე, ცენტრალურ დონეზე, ყოველდღიურად, უხდებათ მასთან გამკლავება.



- **დეზინფორმაციის საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები (საიდან იციან მოხელეებმა, რომ დეზინფორმაცია საფრთხეა)**

საჯარო მოხელეების აზრი, დეზინფორმაციის, როგორც საფრთხის ფენომენის შესახებ, ყველაზე მეტად, ინტერნეტიდან (76%), ტელევიზიიდან (75%), და პოლიტიკოსებისგან (37%) და NGO-ებისგან (32%) მიღებული ინფორმაციით ჩამოყალიბდა (ჯამური მონაცემებით).

აქვე აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ხელისუფლების უწყებებში დასაქმებული მოხელეებისთვის, NGO-ები და საერთაშორისო ორგანიზაციები ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა. იგივე ტენდენციაა ახალგაზრდა მოხელეებში (18-34 ასაკის ჯგუფი). ეს შესაძლოა, რამდენიმე ფაქტორით იყოს გამოწვეული:

1. ცენტრალური უწყებების საჯარო მოხელეებს, ასევე, ახალგაზრდებს, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, მეტად მიუწვდებათ ხელი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებზე და პირადად გააჩნიათ ამ ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;

2. NGO-ები და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურ კომუნიკაციას ახდენენ საზოგადოებასთან დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე და ეს კომუნიკაცია, ბევრ შემთხვევაში, ინტერნეტით და სოციალური ქსელით ხორციელდება. კომუნიკაციის ეს ფორმები კი ახალგაზრდა საჯარო მოხელეების მხრიდან ყველაზე მეტად მოხმარებადია;



ნებისმიერ შემთხვევაში, NGO-ებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ინფორმაციის მიღებას დიდი უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, ეს ორგანიზაციები, მრავალფეროვან საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობილ, გადამოწმებულ ინფორმაციას აწვდიან მომხმარებელს და საკითხის შესახებ ცოდნის გაღრმავებაში ეხმარებიან. იმავდროულად, ამ ორგანიზაციების პროგრამების მონაწილეებს ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობაც აქვთ, რაც სხვადასხვა სექტორში თუ უწყებაში მომუშავეებისთვის ცოდნის და უნარების შეძენის კიდევ ერთი საშუალებაა.

საგულისხმო ტენდენციაა, რომ საჯარო მოხელეების აბსოლუტური უმრავლესობა (70-%>) დეზინფორმაციის საკითხებზე ინფორმაციის წყაროდ არ ასახელებს იმ უწყებას, სადაც მუშაობს. კიდევ უფრო ნაკლებია სხვა სახელმწიფო უწყებებიდან დეზინფორმაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მაჩვენებელი (75%>).

ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ საჯარო უწყებების დონეზე საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაციის ერთიანი შიდა-უწყებრივი მიდგომები არ არსებობს. შესამისად, საჯარო უწყებები ნაკლებ როლს ასრულებენ დეზინფორმაციის საფრთხეებზე თავიანთი თანამშრომლების ინფორმირების საკითხებში. მეტიც, საჯარო მოხელეებისთვის ინფორმაციის წყაროს ნაკლებად წარმოადგენს დეზინფორმაციის შესახებ თავიანთი უწყებების სტრატეგიული დოკუმეტების და ანგარიშების ჩანაწერები (შეეხება ცენტრალური უწყების საჯარო მოხელეებს). დეზინფორმაციის საკითხებზე შიდა კომუნიკაციის ნაკლებობამ, ასევე, უწყებებს შორის საკითხზე კომუნიკაციის ნაკლებობამ თავი იჩინა სამაგიდო კვლევის განხორციელების დროს, როდესაც საკითხის შესახებ ინფორმაცია უწყებების ოფიციალური დოკუმენტებით არ მოიძებნა.

- **დეზინფორმაციიის შესახებ ინფორმირებულობის წყაროები (საიდან იციან საჯარო მოხელეებმა თუ რა არის დეზინფორმაცია)**

საჯარო მოხელეების აბსოლუტური უმრავლესობა (80%), ყველა ჭრილში (ასაკი, სქესი, სამუშაო ადგილი, რეგიონი) თვლის, რომ ესმის დეზინფორმაციის განმარტება. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების პროცესში. თუმცა, ამ მონაცემების შედარებით სხვა შეკითხვებზე გაცემული პასუხების მონაცემებთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო მოხელეების შეფასება ამ საკითხზე, სუბიექტურია.

კერძოდ, დეზინფორმაციის შესახებ მოხელეების ინფორმირებულობის წყაროებია: 1) მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია (65%), პირადი გამოცდილება, 3) მეგობრების, ახლობლების მიერ გაზიარებულ ცოდნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის რაც მოხელეებმა იციან იმის შესახებ თუ რა არის დეზინფორმაცია და როგორ შეიძლება იქმნებოდეს ან/და ვრცელდებოდეს, უმრავლეს შემთხვევაში, ეფუძნება პირადად მოძიებულ წყაროებს და გამოცდილებას და არა პროფესიული განვითარების პროგრამებს ან/და უწყების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

შესაბამისად, ამ მოხელეების ინფორმირებულობა დეზინფორმაციის შესახებ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ გამოცდილებაზე, მეგობრების გამოცდილებაზე და ცოდნაზე, მათ მიერ ინფორმაციის მოძიების უნარებზე. ეს ფაქტორები, შეიძლება გავლენას ახდენდეს მათი სუბიქტური დამოკიდებულებების

ჩამოყალიბებაზე დეზინფორმაციის ფენომენის მიმართ. იმავდროულად, საკითხის შესახებ მაღალი ინფორმირებულობა, რომელსაც თავად აფასებენ, სუბიექტურ წარმოდგენებს ეყრდნობა ვინაიდან ნაკლებად აქვთ ცოდნა და გამოცდილება გადაამოწმონ მათი ინფორმირებულობის წყაროები და მექანიზმები.

- **პროფესიული განვითარების პროგრამების როლი ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარებაში**

როგორც კვლევის თავდაპირველ ეტაპზე გამოვლინდა, ცენტრალური ხელისუფლების უწყებების შიდა დოკუმენტები არ ითვალისწინებს საჯარო მოხელეებისთვის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე სასწავლო პროგრამების შეთავაზებას. ზოგიერთი უწყება,[13] ცალკეულ შემთხვევებში, სთავაზობს უწყების თანამშრომლებს (მცირე ნაწილს) სასწავლო პროგრამებს. კვლევის შემდგომმა ორმა ეტაპმა დაადასტურა, რომ უწყებების მიერ საჯარო მოხელეებისთვის ასეთი პროგრამების სისტემატიური შეთავაზება არც პრაქტიკაში ხდება.

მოხელეთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც ცენტრალურ ასევე, მუნიციპალიტეტების უწყებების დონეზე, (80%>) აცხადებს, რომ დეზინფორმაციის საკითხზე ტრენინგი ან სხვა სახის სწავლება საერთოდ არ გაუვლია. მათი ცოდნა აღნიშნულ საკითხებზე მათ მიერ მოძიებულ, საჯარო წყაროებით შეგროვებულ ან მეგობრების მიერ გაზიარებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ასევე, ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების, დეზინფორმაციის ამოცნობის და ინფორმაციის გადამოწმების საკითხებში, საჯარო მოხელეები საკუთარი ცოდნის და გამოცდილების, და უწყებაში დაგროვილი პრაქტიკის იმედად არიან.

[13] სამაგიდო კვლევის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო, უწყების თანამშრომლებს პერიოდულად სთავაზობენ სასწავლო პროგრამებს დეზინფორმაციის საფრთხეების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.



მუნიციპალიტეტების გამოცდილება

გამოკითხული მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ დეზინფორმაციის საკითხებზე პროფესიული განვითარების ტრენინგი არ გაუვლია. შესაბამისად, დეზინფორმაციის შემთხვევების გადამოწმებას საკუთარი გამოცდილებით და ანალიტიკური შესაძლებლობებით ახდენენ.



- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამოკითხული თანამშრომლებიდან, დეზინფორმაციის საკითხებზე ტრენინგი მხოლოდ ერთ მოხელეს ჰქონდა გავლილი ერთჯერადად.[14]
- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამოკითხული თანამშრომლებიდან, არცერთს არ აქვს დეზინფორმაციის შესახებ სწავლება გავლილი. "საკუთარი გონებით" ცდილობენ გაარჩიონ "სად შეიძლება იყოს სიმართლე და სად სიცრუე".
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში ინფორმაციის გადამოწმების საკუთარი გამოცდილება აქვთ, რაც ძირითადად, მათ ინტუიციასა და ანალიტიკურ უნარებს ეყრდნობა. მოხელეებს ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების, დეზინფორმაციის გადამოწმების რაიმე სპეციალური ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ და ამ საკითხზე ჩატარებული სასწავლო პროგრამები ახსენდებათ.

სამინისტროების გამოცდილება

სამინისტროებში მომუშავე საჯარო მოხელეებს, დეზინფორმაციის ამოცნობის და რეაგირების უფრო ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნიათ; მიაჩნიათ, რომ გამოცდილებაში შეძენილი ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები შესაძლებლობას აძლევთ დეზინფორმციის საფრთხეებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის. თუმცა, მუნიციპალიტეტში მომუშავე საჯარო მოხელეების მსგავსად, საკითხზე სპეციალური სწავლება (ტრენინგი, ვორქშოპი) მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გავლილი.

- ჯანდაცვის სამინისტროს საჯარო მოხელეები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმირებულობის დონეს საშუალო ხარისხით აფასებენ. თანამშრომლები, ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების და დეზინფორმაციაზე რეაგირების საკითხებში, ძირითადად, საკუთარ გამოცდილებას და ლოგიკურ აზროვნებას ეყრდნობიან. ინფორმაციას იღებენ ნებისმიერი წყაროდან და საჭიროების შემთხვევაში, გადამოწმებას ახდენენ ასევე საკუთარი გამოცდილებით.

[14] გამოკითხული მოხელის ინფორმაციით, დეზინფორმაციის შესახებ ტრენინგი მომზადებული იყო ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საიუნფორმაციო ცენტრის მიერ.

- საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმირებულობის დონეს უმაღლეს შეფასებას აძლევე.[15] მიიჩნევენ, რომ სამინისტროში და განსაკუთრებით სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტში, ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების და დეზინფორმაციის გადამოწმების დიდი გამოცდილებაა დაგროვილი და შესაბამისად, ამ უწყების თანამშრომლები ნაკლებად მოწყვლადები არიან დეზინფორმაციის საფრთხეების მიმართ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, დეზინფორმაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ცალკე პროგრამას არ სთავაზობს თანამშრომლებს. თუმცა, სხვადასხვა პროფესიული განვითარების ტრენინგების ფარგლებში, დეზინფორმაციაზე რეაგირების სწავლების კომპონენტი ყოველთვის არის გათვალისწინებული. მაგალითად, ახალ დანიშნული თანამშრომლებისთვის შეთავაზებული ტრენინგის პროგრამა მოიცავს დეზინფორმაციის შესახებ სწავლებას. ასევე, მედიასთან კომუნიკაციის ტრენინგი ითვალისწინებს აღნიშნულ კომპონენტს.

- განათლებისა და მენიერების სამინისტროს საჯარო მოხელეები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე მათ ინფორმირებულობის დონეს მაღალ შეფასებას აძლევენ. სამინისტროს თანამშრომლები ინფორმაციის გადამოწმებისას უწყებაში დაგროვილ გამოცდილებას მიმართავენ; რაიმე სპეციალური მეთოდი ამ მიმართულებით არ არსებობს. განსხვავებით სხვა უწყებებისგან, სამინისტროს თანამშრომლებს საკითხზე სპეციალური სწავლება აქვთ გავლილი, რომელიც სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მიეწოდათ. თუმცა, ასეთი სწავლებები სამინისტროში არ არის სისტემატიური ხასიათის და სხვადასხვა დროს სამინისტროს მხოლოდ ცალკეული თანამშრომლებისთვის გამხდარა ხელმისაწვდომი.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე საჯარო მოხელეების ინფორმირებულობის დონეს უმაღლეს შეფასებას აძლევენ. სამინისტროს, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინფორმაციის

[15] აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოკითხული რესპონდენტები სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ან პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის თანამშრომლები და შესაბამისად, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროს ყველაზე ინფორმირებული მოხელეები არიან.

კრიტიკულად მოხმარების ინსტიტუციურად განვითარებული მექანიზმი აქვს, რომელშიც უწყების სხვადასხვა დონის თანამშრომელი შეიძლება მონაწილეობდეს. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტში დანერგილია დეზინფორმაციის სწრაფად აღმოჩენის და რეაგირების პრაქტიკა. სამინისტრო, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, საჯარო მოხელეების დეზინფორმაციის საკითხებზე გადამზადების პროგრამებს სთავაზობს. თუმცა, ასეთი პროგრამები სამინისტროს საშუალო რგოლის თანამშრომლებისთვის არის განკუთვნილი იმ მოლოდინით, რომ ისინი მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებს გაუზიარებენ.

- თავდაცვის სამინისტრო დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე საჯარო მოხელეების ინფორმირებულობის დონეს მაღალ შეფასებას აძლევს. უწყებას დეზინფორმაციის გადამოწმების საკუთარი გამოცდილება აქვს, რომელიც, ასევე, მრავალწლიან მუშაობაში დანერგილი პრაქტიკაა. ეს გამოცდილება, კონკრეტულ მექანიზმებთან ერთად, ინფორმაციის ანალიტიკურად შეფასების უნარებსაც ეფუძნება.

უწყებაში, ისევე როგორც სხვა სამინისტროებში, კონკრეტულად დეზინფორმაციის თემატიკაზე ტრენინგი, ან რაიმე სახის საინფორმაციო პროგრამა არ განხორციელებულა. თუმცა, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამები, ნაწილობრივ მოიცავდნენ ამ საკითხსაც.

ცხადია, სამინისტროებში მომუშავე საჯარო მოხელეებს ინფორმაციის გადამოწმების მეტი ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ, ვიდრე მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს. ამას ისიც განაპირობებს, რომ ცენტრალურ დონეზე უწყების მოხელეებს მეტად მიუწვდებათ ხელი საერთაშორისო რესურსებზე და დონორი ორგანიზაციების პროექტებზე, რომლებიც პერიოდულად სპეციალური სწავლების პროგრამებს სთავაზობენ საჯარო მოსამსახურეებს.

თვალსაჩინოა, რომ ინფორმაციის გადამოწმებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმები არ არის ერთგვაროვანი საჯარო უწყებებებში. როგორც სამინისტროს, ასევე, მუნიციპალიტეტების დონეებზე, მოხელეები საკუთარ გამოცდილებას, ანალიტიკურ უნარებს და ინსტიტუციის შიგნით არსებულ ცოდნას ეყრდნობიან.

სახელმწიფო უწყებებში არ არის განვითარებული გადამზადების პროგრამები, რომლებიც თანამშრომლებს დეზინფორმაციის საკითხებზე სწავლებას შესთავაზებდა. ხელმისაწვდომი ტრენინგები და ვორქშოპები ფრაგმენტულია და უწყებების თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს.

დეზინფორმაციის ამოცნობის გამოცდილება

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ესმის დეზინფორმაციის განმარტება, აქვს ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების (ზოგჯერ ინსტიტუციურ გამოცდილებზე დამყარებული) ცოდნა, მხოლოდ 38% ეთანხმება მოსაზრებას, რომ თავისუფლად არჩევს ცრუ ინფორმაციას ნამდვილისგან.



ამ საკითხზე საჯარო მოხელეების მოსაზრებებში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- საჯარო მოხელეების უმრავლესობა (60%>) არ თვლის, რომ თავისუფლად არჩევს ცრუ ინფორმაციას ნამდვილისგან.
- მოხელეების უმრავლესობა ამოწმებს ინფორმაციას (56%).
- მოხელეებს ინფორმაციის გადამოწმების თავიანთი გამოცდილება აქვთ, რაც ემყარება პირადი გამოცდილებით მიღებულ ცოდნას (61%), ასევე, საკუთარი ძალებით მოპოვებულ (65%) ან მეგობრებისგან მიღებულ ინფორმაციას (34%).

- მოხელეების უმრავლესობა არ თვლის რომ წყაროს და ინფორმაციის გადამოწმების მათი მეთოდები სანდოა.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რატომაც საჯარო მოხელეები ინფორმაციის გადამოწმების მათი მეთოდების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებენ, შესაძლოა, საკითხზე პროფესიული ცოდნის მიღების ნაკლებობაა. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოხელე ამბობს, რომ პირადი გამოცდილებით იცის ბრძოლის მეთოდები, ამიტომ საკითხზე სრულიად ინფორმირებული ვერ იქნება, რადგან არ გაუვლია "ტრენინგი და არც კურსი ამ მიმართულებით."

მარნეულის მუნიციპალიტეტში, ასევე, მიიჩნევენ, რომ "ცრუ და ნამდვილი ინფორმაციის გარჩევის ბერკეტები პირადი გამოცდილებაა" და ტრენინგების საჭიროებას ცალსახად ხედავენ.

- **ცნობიერების ამაღლების პროგრამები**

დეზინფორმაციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების პროგრამების საჭიროებას ხედავენ როგორც ცენტრალური, ასევე, მუნიციპალიტეტის უწყებების საჯარო მოხელეები. პროგრამების საჭიროებაზე მიუთითებენ, ასევე, ცენტრალური უწყების ის მოხელეები, რომლებიც ყველაზე კარგად არიან საკითხის შესახებ ინფორმირებულები. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოკითხული მოხელეები აცხადებენ, რომ საკითხის სირთულიდან გამომდინარე, ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს დამატებითი ინფორმაციის და ცოდნის მიღების, ასევე უნარების განვითარების საჭიროება. ამდენად, უწყების თანამშრომლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ ასეთ

პროგრამებზე.

ცნობიერების ამაღლების სასურველი ფორმა - სქესის, რეგიონისა და სამუშაო ადგილის მიხედვით

	ჯამური (n=1339)	სქესის მიხედვით		რეგიონის მიხედვით			სამუშაო ადგილის მიხედვით	
		ქალი (n=911)	კაცი (n=423)	თბილისი (n=560)	აღმოსავლეთი (n=381)	დასავლეთი (n=393)	ცენტრალური ხელისუფლება (n=615)	ადგილობრივი თვითმმართველობა (n=553)
ტრენინგების საშუალებით	67%	66%	68%	61%	70%	72%	62%	72%
პრაქტიკული ვორქშოპების საშუალებით	51%	53%	48%	59%	45%	46%	56%	45%
გაიდლაინების საშუალებით	35%	33%	37%	39%	31%	32%	40%	29%

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები განმარტავენ, რომ მათ უწყებაში ცოდნის და გამოცდილების გაზიარების თავიანთი პრაქტიკა აქვთ დანერგილი. კონკრეტულად, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე თანამშრომლები ცოდნას და გამოცდილებას უზიარებენ ახალ თანამშრომლებს. ინფორმაციის და ცოდნის გაზიარება, მათ შორის, დეზინფორმაციის საკითხებსაც მოიცავს.

საგანმანათლებლო პროგრამების ყველაზე სასურველ ფორმად საჯარო მოხელეები ტრენინგს ასახელებენ, რასაც თანმიმდევრულად, ვორქშოპები და გაიდლაინები მოყვება.

5. რეკომენდაციები

- ➢ ჩატარებული კვლევის შედეგები საჯარო სამსახურის ბიურომ წარუდგინოს შესაბამის საჯარო უწყებებს სამსჯელოდ და შემდგომი ღონისძიებების დასაგეგმად;
- ➢ ბიურომ, საჯარო უწყებების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყოს დეზინფორმაციის და პროპაგანდის შესახებ საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლების საკითხების გათვალისწინებას უწყებების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში;

- ბიურომ, სპეციალური პროგრამების შეთავაზებით, ხელი შეუწყოს სამინისტროების სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტების ერთობლივ მუშაობას შიდა-უწყებრივი კომუნიკაციის გასაძლიერებლად;
- ბიურომ, საჯარო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებთან, ან სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, განიხილოს უწყებების თანამშრომლებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლის ინსტიტუციური გამოცდილლება, რაც შემდგომ სასწავლო პროგრამების განვითარების პროცესში დაეხმარება.
- ბიურომ, საჯარო უწყებების შესაბამის სამსახურებთან/დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, შეისწავლოს უწყებებში ინფორმაციის კრიტიკულად მოხმარების, დეზინფორმაციის გადამოწმების არსებული პრაქტიკები. ეს ბიუროს დაეხმარება შემდგომ ეტაპზე სასწავლო პროგრამების განვითარება-დაგეგმვაში.
- სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა, საჯარო სამსახურის ბიუროს მონაწილეობით, განიხილონ საჯარო მოხელეებისთვის სასწავლო პროგრამების შეთავაზების საკითხი;
- საჯარო სამსახურის ბიურომ, სამინისტროების სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, მოამზადოს სასწავლო პროგრამა საჯარო მოხელეებისთვის დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. შეთავაზებული სასწავლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი დონის საჯარო სამსახურის სპეციფიკასა და ინტერესებს;
- საჯარო სამსახურის ბიურომ საინფორმაციო შეხვედრა გამართოს დეზინფორმაციასა და პროპაგანდაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და იმსჯელოს მათთან შესაძლო თანამშრომლობაზე.

დანართები

1. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკა, 2023; სამაგიდო კვლევის ანგარიში.
2. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო უწყებებში დასაქმებულთა ინფორმირებულობა და მათი პრაქტიკაში არსებული გამოცდილება, 2023. თვისობრივი კვლევის ანგარიში.
3. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო უწყებებში დასაქმებულთა ინფორმირებულობა და მათი პრაქტიკაში არსებული გამოცდილება, 2023. რაოდენობრივი კვლევის ანგარიში.